

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

დადგენილება N7

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს განათლების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N 119/ნ-ის მუხლი 23-ე 1 და მე-2 პუნქტების, სსიპ -საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-8 და მე-15 მუხლების, სსიპ -საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2015 წლის 4 ივნისის საბჭოს სხდომის ოქმი N2-ის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად და განცხადება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2015 წლის 5 ივნისს.
2. სსიპ -საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 4 აგვისტოს.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაცია განისაზღვროს 2015 წლის 8 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით.
4. საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიაში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) ორი ფოტოსურათი (3X4);
- ე) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- ვ) ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ.

აკადემიური საბჭოს თავ-რე, პროფესორი

ჯემალ მაგანია

აკადემიური საბჭოს მდივანი, პროფესორი

ნინო ქოჩაკიძე

